განკარგულება:**g-31. 31232982**
თარიღი:**25/10/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №68

2023 წლის 25 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტი (პროექტის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 132 261,19 (ასოცდათორმეტიათას ორასსამოცდაერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარით) .“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი